ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2017 წლის 15 ნოემბერი

ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს და დამტკიცდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგები, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ვაჩაძე**

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგები, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა

№	რანგირება	თანამდებობათა დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1		**საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატი**	**10**	
	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	1	1740
2		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება**		
	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი – იურიდიული განყოფილების უფროსი	1	1050
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	800
	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	780
3		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება**		

	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი – საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	1	1050
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	800
	IV რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	720
4		**საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება**		
	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი – საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	1	1050
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	800
	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	780